რედაქცია

გალავანის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებ[ში] კლუბის ქვემოთ

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროების“ რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის (გერარდის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

[illegible] ასოებით, ასოზე 1 [illegible] ასოზე ნახევარი კაპ., [illegible] ზე მაური.

თუ ხანჭირობებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი შაური.

ამა 1882 წელს ყოველ-დღიური გაზეთი

„დროება“

გამოდის იმავე პროგრამმითა და რიგით და იმავ თანამშრომლების დასმარებით, როგორც აქამდის გამოდიოდა.

ხელის-მოწერა მიიღება:

თფილისში: „დროების“ რედაქციის კანტორაში, გალავნის პროსპექტზე, თ. ივ. კ. მუხრანსკის სახლებში, კლუბის ქვემოთ.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა მოითხოვონ გაზეთი Въ Тифлисъ, Въ редакцію газ. „Дроэба“.

„დროებაზე“ და „ივერიაზე“, ორივეზე ერთად, ხელის-მოწერა არ მიიღება.

ფასი ხელის-მოწერისა:

ერთის წლით:	9 მან.	სამის თვით	3 „
ნახევარის წლით	5 „	ერთის თვით	1 „

სხვა ვადით ხელის-მოწერა არ შეიძლება. ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში. ვითხოვთ აგრეთვე, რომ თავის სახელი და გვარი და საცხოვრებელი ადგილი გარკვევით დასწერონ.

რედაქტორი სერ. მესხი.
გამომცემელი სტ. მელიქიშვილი.

ტელეგრამმა

(„ხალხთაშორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 9 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია შემდეგი ოფიციალური შენიშვნა: ყოვლად-უსაფუძვლოა ის ამამღელვებელი ხმები, რომელიც გავრცელებულა პარიჟის სტუდენტებში ღენ. სკობელევისაგან წარმოთქმულ სიტყვის გამო; კერძო პირებისაგან გამოთქმულ აზრს, რასაკვირველია, არავითარი გავლენა არ ექნება ხალხთა-შორის პოლიტიკაზედ და ერთმანეთ დამოკიდებულებაზედ.

9 თებერვალს გამოსულს გაზეთებში სწერია: პოლიტიკური პროცესსი 21 პირისა დღეს დაიწყო და, როგორც ამბობენ, 6 დღეზე გათავდებაო.

თ. დონდუკოვ-კორსაკოვი გუშინ, 8 თებერვალს გამოვიდა პეტერბურღიდამ.

ბელგრადი, 9 თებერვალს. ადმოაჩინეს შეთქმულობა სერბიის მთავრის მილანის წინააღმდეგ; ბევრი მონაწილეთაგანი ამ შეთქმულობისა სამზღვარ გარეთ გაიქცნენ; ამათში, ამბობენ, აპრინდელი მინისტრი რისტიჩიც ერიაო.

პეტერბურღის ბირჟა, 9 თებერვ.

ბანკის ბილეთები:	მან. კაპ.
პირველი გამოცემისა—	95—12
მეორესი— — — —	91—25
მესამესი — — — —	92— „
მეოთხესი — — —	91—25
მეხუთესი — — —	90—37
აღმოსავლეთის პირვ.—	90— „
აღმოსავლეთის მეორე	90— „
აღმოსავლეთის მესამე	90— „
ოქრო, 1/2 იმპერიალი	8— 8

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

	მან. კაპ.
პირველი სესხის — —	218—75
მეორე სესხის — —	217—75

100 მანეთი ღირს:

ლონდონი —	24—37	პენსი
ჰამბურღი —	207—75	ცენტი
პარიჟი — —	257—25	სანტიმი
ბერლინი —	„ — „	პფენიგი

დღიური

ყოველის მხრიდამ ოთხ-ფეხ საქონლის გაიაფება ისმის; ადრე რომ ოთხხუთ და ექვს თუმნად საკლავი ძროხა იყიდებოდა, ახლა იმისთანა ძროხას ორ-სამ თუმნათ იშოვითო, ამბობენ; მაგრამ გასაკვირველი ეს არის, რომ ხორცის გაიაფებას-კი ჯერ-ჯერობით კიდევ ვერ ვეღირსეთ: ტაქცია ადრეც 11—12 კაპეიკად იყო და ახლაც ამ ფასად ისყიდება.

ნეტავი რა ანუ ვინ უნდა იყოს ამის მიზეზი?

* * *

დადგა დიდ-მარხვა და ლექციების სეზონი დაიწყო. ამ-ჯერობით ერთგული ლექტორი ბ. მარაპაევი აცხადებს შაბათობით ფიზიკიდამ ლექციების კითხვის დაწყებას ჩვენს კრუჟოკში.

ამას წინად ლაპარაკობდნენ, რომ რამდენიმე ახალგაზდა ქართველი ექიმები აპირებენ ლექციების კითხვასაო და ამ ლექციების შემოსავალი ჩვენი „წერა-კითხვის საზოგადოების“ სასარგებლოდ უნდა იქნესო; მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ ლექციებზე როგორღაც არა ისმის-რა.

* * *

გასულ ორშაბათის სხდომა ჩვენი ქალაქის რჩევისა ვერ შესდგა, რადგან კანონიერი რიცხვი (24) ხმოსანთა ვერ მოგროვდა.

* * *

სომხური გაზეთი „მეღუ ჰაიასტანი“ გვაცნობებს, წმ. ნაიანეს საქალებო სასწავლებლის ინსპექტორი ბ. ნ. ხოსროევი შუამდგომლობს მთავრობის წინაშეო, რომ ამ წლის ენკენისთვიდამ მიეცეს სომხური პედაგოგიური ჟურნალის გამოცემის ნება-რთვაო. ჟურნალს ერქმევა სახელად „გპრჟარან“ (სკოლა) და გამოვა თვეში ერთხელაო.

* * *

ერთი იმერელი სოფლის მღვდელი გვწერს, კარგი იქნებაო, რომ სოფლის მღვდლების ჯამაგირების მიღება ხაზინიდამ ბლაღოჩინებზედ არ იყვეს მინდობილიო; ჯერ ახლაც დრამის მოკრეფიდამაც სარგებლობენ ისინიო და თუ ჯამაგირების მიღებაც იმათ მიანდეს, უიმისოთაც მცირე ჯამაგირს კიდევ უფრო შეგვიმცირებენო.

კარგი იქნებაო, გვწერს ეს მღვდელი, რომ სოფლის მღვდელს უფლება ჰქონდეს, ან თვითონ აიღოს ხაზინიდამ ეს ჯამაგირი, ან ვისაც უნდა, იმას მიანდოს იმის აღებაო. დიდი სალავათი იქნებაო აგრეთვე მღვდლებისათვის, დრამას რომ ფულად აქცევდნენ და ამ ფულსაც ჯამაგირთან ერთად დაგვირიგებდნენ მახლობელ ხაზინიდამაო.

* * *

გამოვიდა ამ წლის პირველი, იანვრის, წიგნი ჟურნალის „იმედისა“ შემდეგის შინაარსით: 1) მე და ონისიმე, მოთხრობა—მ. ასათიანისა; 2) მოჩვენება (ლექსი)—პ. კრეჭიაშვილისა; 3) სამწერლო ნატვრა (ლექ-

«დროების» ფელტონი, 11 თებერვ.

* * *

გვცივა, გვცივა გაგვყინა;
გულიც გვაქვს დარდიანი...
ღმერთო, რას ჩაგვაცივდა
ზამთარი თოვლიანი!

—

მეშინიან, გულამდინ
ყინვამ არ ჩააწიოს
და რაც სისხლი-ღა დაგვრჩა
ისიც არ გააციოს!

—

ჰაერი აირია,
დღეა ქარიშხლიანი.
პირხლი ცხვირ-პირს გვეიყინავს,
დღე გვენატვრის მზიანი!

—

რა ვქნათ? სევდით სავსე ვართ,
ყველა ვართ ჯავრიანი...
ღმერთო შენ მოგვაშორე
ზამთარი თოვლიანი!

—

ჩემს სამშობლოს ტკბილს და თბილს
არ სჩვევია სიცივე:
რა ჰაერშიც აღზრდილა,
დაუბრუნე იგივე!

—

ვერ აიტანს სიგრილეს
გულ-მხურვალე ბუნება,
ვერც გაყინავს ძარღვში სისხლს,—
ამაზედ მაქვს რწმუნება!

—

დავსუსტდით, დავუძლურდით,
შეიცვალა ბუნება;
ამ ყინვის მიზეზია
ჩვენი დაძაბუნება!

—

მოვა დრო გაზაფხულის,
ჰაერი დამშვიდდება
მზისავე სიმხურვალით
მწვანე აღორძინდება!

—

იქ, ჩრდილოში, ბუნებით
დამტკბარნი განვისვენებთ,
და ზამთრით დაჩაგრულნი
ზაფხულით მოვისვენებთ!..

კ-ნა ნინო ორბელიანისა.

17 იანვარს 1882.

ბოლგარია

ვიდრე ბოლგარია ამ ხუთასის წლის წინად ოსმალეთის ხელში ჩავარდებოდა დამოუკიდებელი სამეფო იყო და საკუთარი მეფე ჰყავდა. მაგრამ ამ დროის განხილვას თავი დავანებოთ; განვიხილოთ მოკლედ—თუ როგორ ჩაცვივდნენ ბოლგარიელები მონაოზაში და შემდეგ მივყოთ ხელი, ეგრეთვე მოკლედ, ახლანდელ შინაგან მდგომარეობის, ეკკლესიურის, ლიტერატურულის და სხვათა საგანთა განხილვის გაცნობასა.

ისტორია არა-ერთს მაგალითს მოგვითხრობს, რომ რომელიმე სამეფოის ანუ სახელმწიფოს, შინაგანის უთანხმოებისა და შურის-ძიების გამო, გარეშეს მტერს უსარგებლნია შემსევია და დაუმონავებია... ბოლგარიასაც ასე დაემართა:

როდესაც ალექსანდრე მეფე ბოლგარიისა გარდაიცვალა, დასტოვა სამი ვაჟი შვილი და ორი ქალი:—ბიორგი სტრაშიმირი, იოანე შიშმანი, ასენ, ელენა სერბიის კოროლის ცოლი და მარიამ სულთან მურადისა, რომელიც ალექსანდრემ მიათხოვა განვებ მშვიდობიანობისა და კავში-

სი)—გ. ლიხელისა; 4) საახალწლო—ქიზიყელისა; 5) სუსტი და მძლავრი (ლექსი) ი. დ—სა; 6) როდის იქნება! (ლექსი) — ლ. რ—ზ—კ—ლისა; 7) ქართული თეატრი—სტ. ჭრელაშვილისა; 8) „იმედის“ კორრესპ. ქახეთიდამ — რაულ-დე-ლა-ტრამბლესი; 9) „იმედის“ კორრესპ. ზუგდიდიდამ—ძიდევ ვიტყვისა; 10) შინაური მიმოხილვა—მ. ზურგენიძისა; 11) ახალი წიგნები—ტატალასი; 12) რედაქციისაგან; 13) განცხადებანი.

* * *

ქუთაისიდამ დიდს სამდურავს გვწერენ იქაურს ქალაქის გამგეობის უყურადღებობაზედ. ქუთაისელების ჩივილს სამზღვარი არა აქვსო. ჩვენ ქუჩებს ვტიროდით და საზოგადოდ ბევრი სხვა გვქონდა სატირალიო, მაგრამ ეხლა ეს ერთი ხიდიც გაგვიხდა სავალალო საგნადაო.

როგორც გვატყობინებენ, საშიშარ მდგომარეობაშია თურმე ერთი იქაური ხიდი, რომელიც სულ არ იქნება ექვსი-შვიდი წელიწადი, რაც ააგეს. ყოველ ფაიტონისა და ურმის გავლაზედ საშიშრად ირყევა თურმე და ეჭვობენ სამწუხარო ბოლო არ ექნეს ამ ხიდის ასე უყურადღებოდ დატოვებასო.

* * *

ქუთაისიდამვე გვატყობინებენ, რომ იქაურს რუსულ სცენის მოყვარეთ, გრაფ სოლოგუბის თაოსნობით, გაუმართავს დღით წარმოდგენა ქუთაისის მოსწავლე ახალგაზდობისათვის. თეატრი სავსე იყო მოსწავლე ქალებითა და ვაჟებით, რომელთაც წარმოდგენის გათავების შემდეგ დიდი მადლობა უძღვნეს გრაფ სოლოგუბსო.

* * *

იქიდამვე გვწერენ, „ვეფხის ტყაოსნიდამ“ ცხოველი სურათების გამმართველი მხატვარი ზიჩი რომ აქაც ჩამოვიდოდეს ამ სურათების დასადგმელად, საზოგადოება მისი ძალიან მადლიელი იქნებოდა და ისიც კმაყოფილი დარჩებოდა საზოგადოებისაო.

წერილი რედაქტორთან.

ბ. რედაქტორო! თქვენს გაზეთში მე-16 ნომერში არის მოხსენებული ჩემზედ, რომ მითომ ჩემის მოღვაწეობით დაიკეტა სკოლა მღვდლისა სამხარაძისა სოფ. ახალგორს.

ამაზედ მე ვრაცხ საჭიროდ გამოვაცხადო რაში მდგომარეობს საქმე, არა იმ მიზეზით, რომ შეშინებული სხვათა შორის თქვენი გაზეთის ამ სტატიისაგან, მე თავი მინდა ვიმართლო. არც იმისათვის, რომ სხვებსავით ყვირილით და წივილით უმტკიცებდე ხალხს, რომ მე ვარ ყველაზედ მეტი მოსიყვარულე ჩემის სამშობლოსი და გულს ვტკივნეულობ ხალხის უსწავლელობაზედ და სხვ. მე მხოლოდ მინდა გავაფრთხილო ჯერ ხალხი მატყუარა მღვდლებისა და სხვა შატაბუტა პირებისაგან, რომელნიც ფარისეულის სიკეთის პირბადით ბევრ-ნაირად სარგებლობენ ბრიყვი და ადვილი შესაცდომელ გლეხისაგან, და მეორედ გავაფრთხილო ის პირნი, რომელთაც ედვილებათ თქვენს გაზეთში ყოველი უსაფუძვლო ამბების ბეჭდვა.

შარშან-წინ 1880 წელს, მე მითხრეს ახალგორის გლეხ-კაცებმა შემდეგი სამდურავი შესახებ იქაური მღვდელზედა სამხარაძეზედ: როდესაც სამხარაძე მოვიდაო, ამბობდნენ გლეხები, ჩვენი ბავშვები აიყვანა სასწავლებლად წიგნის კითხვისაო და წერისაო და ჩვენ გვართმევდა კომლზედ, სხვათა შორის, თითო მანათს თუ ორ-ორ მანათსაო; მერე როდესაც ვნახეთო, რომ ფული ფულად მიგვდის და სამსახური ცალკეო და სწავლა-კი არა იყო-რაო, მაშინ ჩვენ მოვიწვიეთო სემინარიაში კურს-დასრულებული ოსტატი ქალაქიდანაო, რომელსაც ვაძლევდით ოც-და-ათს თუმანს წელიწადშიო. როდესაც ეს სემინარიელი მოსულა ახალგორს და დაუწყვია სწავლება, მაშინ ჩვენს პატივცემულს მღვდელს გამოუცხადებია ხალხისთვის, რომ მე სულ მუქთად ვასწავლიო, არაფერს არ გამოგართმევთო, ოღონდ ისევ მე მომაბარეთ თქვენი შვილებიო; მაშინ შაგირდების დედ-მამას ნელ-ნელა გამოუყვანიათ თავიანთი შვილები სემინარიელისაგან და მიუბარებიათ ისევ მღვდელთან. სემინარიელი, რომელსაც ვინ იცის რა საქმისთვის თავი დაუნებებია ქალაქში ამ გლეხების გულისთვის, ვინ იცის რას მოსცდენია, დარჩომილა ახლა სრულებით მშიერი და ფეხით და გულ-ხელდაკრეფით წამოსულა ქალაქს.

ახლა, გკითხამთ, რას უნდა მივაწეროთ სამხარაძის ეს მოქმედება? თუ იმას, რომ გატაცებული გულმხურვალე სიყვარულით და შებრალებით გლეხ-კაცების შვილებისა და იმათ მშობლებისა, სამხარაძეს არ უნდოდა არაფერი ჯილდო თავის სწავლაზედ, რატო პირველშივე არ ასწავლიდა მუქთად; თუ არა, ან რაზედ შეიბრალა ის ხალხი მღვდელმა თვითონვე ღარიბმა და სახლობის პატრონმა?

ახალგორისთანა შეძლებელი ხალხი ჩემს მაზრაში არა სოფელის არ არის; ზოგიერთი გლეხი იმათში ისე მდიდარია, რომ ხუთი ათასი თუმანი და უფრო მეტიც გაცემული ექნებათ. მაგრამ, მოკლეთა ვთქვათ, ნათქვამია: თაფლში ხელი ვისაც უყვია, ის უეჭველად გალოკავს ხელსაო.

ჩემი მოქმედება ამ სკოლის შესახებ (თუ სკოლა ერქმის ამ ნაირს შინაურ სწავლას) იყო და არის შემდეგი.

მე ვადგენდი ყველა ჩემზედ მონდობილს გლეხ-კაცების საზოგადოებაში განაჩენებს მაზედ რომ ყველა საზოგადოებამ გამოიღოს რამდენიც შეუძლიან ფული, რომ იმათთვის სკოლები დაწესდეს, არა დროებითი და უსწორ-მასწორო (სამხარაძისავით) არამედ ნამდვილი სამუდამო და რიგიანის მასწავლებლებით ქართულის, რუსულის და სომხურის (სადაც საჭიროა) ენებისა და აგრეთვე სახელოსნოსი. სუყველგან სიხარულით მიიღეს ეს ჩემი [illegible] ხუთ ექვს [illegible] დგინა განაჩენი, რომელნიც არ[illegible] წარდგენილნი უფროს მთავრობას[illegible] დანარჩომ საზოგადოებამ, რომ[illegible] ახალ-გორს მახლობლად არიან, [illegible] ცა უარი არ მითხრა განაჩენებზ[illegible] მაგრამ გამომიცხადეს, რომ ჯ[illegible] ახალ-გორელებმა შეადგინონო, [illegible] ხოთ—ისინი რას გამოიღებენო, [illegible] ნი შემძლებელი ხალხნი არიანო, [illegible] მერე ჩვენც იმათ მივხედავთო.

ორჯერ-სამჯერ ვიყავ ახალ-გორ[illegible] და ბევრი ვეხვეწე ხალხს, მაგრ[illegible] ვერა გავაწყვე-რა. ახალ-გორელებ[illegible] ჯერ მოხსენებული ამბავი მიამბეს[illegible] მერე თქვეს, ღვდელი მუქთად ას[illegible] ვლის ანა ბანასა, ჩვენ შვილებს ის[illegible] ეყოფაო! ამასთან ესეც მამაგონ[illegible] რომ რაც სამხარაძეს სკოლის მა[illegible] ლეები მიუღია „წერა-კითხვის საზოგადოებისაგან“, იმასაც თურმე სა[illegible] ხარაძე ჩემულობს, ეს ჩემთან არ[illegible] გამოგზავნილიო და არა სხვებთანაო.

რასაკვირველია, ახალგორელებ[illegible] უარმა სხვა საზოგადოებანიც უკ[illegible] დააყენა, და თუმცა მე წელს როგორ[illegible] იყო ბევრს მოვაწერინე ხელი გან[illegible] ჩენზედ ახალგორში და ამ გაზაფხულ[illegible] წარვადგინე იმასაც, მაგრამ ამ არ[illegible] უჯათობამ ახალ-გორისამ, საქმე ძა[illegible] ლიან უკან დააყენა. ამ განაჩენი[illegible] შედგენის შემდეგ იქნება ახალგორ[illegible] ლებმა აღარ ინდომეს ღვდლის მუქ[illegible] თი სამსახური და გამოიყვანეს თავი[illegible] შვილები სამხარაძის სკოლიდან (?),—მე ეს არ ვიცი, და დამლით მე რო[illegible] გორ დავუშლიდი ღვდელს სწავლ[illegible] და გლეხებს თავის შვილების მიბარე[illegible] ბას? ეს კი იყო ჩემის მხრივ მხოლოდ, რომ, რადგან იმ განაჩენის უარზედ იდგა ხალხი მუქთი მასწავლებლის გამო, მე შინაურად ვთხოვე ღვდელს მომცეს იმანაც შემწეობა ამ განაჩენის შედგენისათვის და აღუთქვი, რომ იმ ღვდელსვე დავანიშვნინებდი ახალ[illegible]

რის ჩამოსაგდებად ურთი-ერთ შორის.

ალექსანდრეს სიცოცხლეშივე, იოანე შიშმანსა და გიორგი სტრაშიმირს შორის უკმაყოფილოება და შურისძიება ჰსუფევდა. ამისი მიზეზი თვით მამა მათი იყო თავისის პირველის ცოლით. როგორც ისტორია მოიხსენიებს, ალექსანდრეს პირველი ცოლი ძალიან ავსული და კაპასი დედაკაცი ყოფილა, რომლის გამოც ქმარმა დაითხოვა და გადაასახლა ქალაქ ვიდინში; ხოლო გიორგი სტრაშიმირს უბოძა ვიდინის მთავრობა. ალექსანდრემ დათხოვნისათანავე პირველის ცოლისა მონათლა ერთი ლამაზი ურიის ქალი და შეირთო ცოლად. ამ ამბავმა პირველი ცოლი, რასაკვირველია, უფრო გააანჩხლა... ცოტა ხნის შემდეგ გიორგი სტრაშიმირი დედის ჩაგონებით აუჯანყდა მამას და გამოაცხადა თავის თავი ვიდინის მეფედ; მაგრამ, რაკი გიორგი სიყრმის შვილი იყო და ძალიანაც უყვარდა მამასა, ამისათვის უყურადღებოდ სტოვებდა ხოლმე. ეს ამბავი შეიტყო თუ არა მაჯარის (ვენგრიის) მეფემ, ისარგებლა ამ შემთხვევით, შეესია ვიდინის არე-მარეს და დაატყვევა გიორგი, მაგრამ ალექსანდრეს შეეცოდა თავისი შვილი და დიდის თხოვნითა და ვედრებით გაანთავისუფლებინა საპატიმროდამ.

ალექსანდრეს გარდაცვალების შემდეგ ათას-სამას სამოც-და სამში (1363) ბოლგარიის მეფედ დაჯდა იოანე შიშმანი, რომლის სატახტო ქალაქი იყო ტირნოვი. თუმცა ალექსანდრეს სიცოცხლეში ოსმალეთსა, ბოლგარიასა და ბერძნებთ შორის მშვიდობიანობა იყო ჩამოვარდნილი, მაგრამ როდესაც იოანე შიშმანი გამეფდა, მაშინვე ომი გამოუცხადა ბერძნებს და წაართვა მრავალი ქალაქები და დაადო ბევრი და ხარჯი.

ბერძნები, თითონ რომ ვეღარა დააკლეს-რა ბოლგარებს, მივიდნენ ქ. ბრუსსაში სულთან მურადთან და დაუწყეს ხვეწნა-ვედრება, რომ გადაუხადოს მან სამაგიერო. ეს მიზეზი იყო თუ სხვაც ამასთან, მურადი შეესია ჯარით ბოლგარიას, მაგრამ დამარცხებული დარჩა: ის ნაწილი ჯარისა, რომელიც დავიაში გაგზავნა, ზოგი გაჟლიტეს და დანარჩენიც უკან გამოქცევის დროს მდინარე დუნაიაში დაიხრჩვნენ; ხოლო მეორე ნაწილს იოანე შიშმანი და მისნი ძმანი გიორგი და ასენ შეეჯახნენ და ოც-და-სამი ათასი (23,000) კაცი მოუკლეს ოსმალებს. ამ ამბავმა სულთან-მურადი ძალიან ჩააფიქრა და ცდილობდა ჩქარა გადაეხადნა ბოლგარებისათვის სამაგიერო. ოსმალებმა დაიწყეს ჯარის დამზადება ხელ-ახლად ომისათვის; ეგრეთვე ბოლგარებიც შეუდგნენ თადარიგს. ამ დროს გიორგი სტრაშიმირი აემალა თავის ძმას იოანეს და გამოაცხადა თავისი თავი ბოლგარის მეფედ ქ. ტირნოვში. იოანე შიშმანმა შეუთვალა, რომ მე მაშინ ანდერძით ტირნოვში უნდა ვიჯდე მეფედ და შენ-კი ვიდინის მთავრადაო.

პირველი შემოსევა ოსმალებისა ბოლგარებმა როგორც იყო მოიგერიეს და დაამარცხეს მტერი, მაგრამ ოსმალებმა ჩქარა გადაუხადეს სამაგიერო: 1367 წ. ოსმალები შეესივნენ ბოლგარიას და მრავალი ქალაქები და ადგილები წაართვეს. შემდეგ კი არც ბოლგარები დარჩნენ ხელ-ცარიელნი: 1369 წ. ბოლგარიის მეფემ და პიროდის მთავარმა-მოჩხილმა გალაშქრეს ოსმალოს სულთან ორკანის ჯარზედ; პირველი შეტაკება მოუხდათ ქ. იფსალასთან, ოსმალო[illegible]

სკოლის ქართული ენისა და სამღვთო წერილის მასწავლებლად. ამასთანავე გარდავეცი სამხარაძეს ხალხის სიტყვები, რომ თუ მუქთად გვასწავლიანო, ფული რაღაში მივცეთო.

— მაშ, რახან აგრე არის, მიპასუხა ღვდელმა, მე ეხლა აღარ ვასწავლი მუქთათაო.

— ეგ თქვენი ნება არის-მეთქი.

აი ეს არის რაც ჩემგან მოხდა. თუ მართლა ღვდელმა თავი დაანება სწავლებას და იმისი (ასე ეძახიან) სკოლა დაკეტილია, სწორე მოგახსენოთ, ეს ჩემი ბძანებით არც იქნებოდა და არც არის. მე კი ჩემის მხრივ აოა ვწუხვარ ამ ამბავზედ, რომ ის სკოლა დაიკეტა, რადგანაც ჩვენი სურვილია: იყოს ნამდვილი სკოლა, რიგიანი სწავლა და აღზრდა ხალხისა და არა დაფარული სასწავლებლის სახელით, ღვდლების ოთახების გვა და იმათთთვის წყლისა და შეშის ზიდვა და სხვა ნაირი სამსახური.

დუშეთის მაზრის მომრიგებელი
აბელ ჩოლაყაშვილი.

უცხოეთი

საფრანგეთი. პარიჟი, 5 თებერვალს (24 იანვ.). თუ გამბეტტის სამინისტროს დიდი ხანი არ უცხოვრია, ამის მიზეზია თვით გამბეტტას პოლიტიკა.

ამ უკანასკნელის ათის წლის განმავალობაში გამბეტტამ ისეთი სახელი დაიმსახურა თავისი მჭევრ-მეტყველობით და რესპუბლიკის პრინციპების დაცვით, რომ ერთ უგავლენიანელს პოლიტიკურ კაცად ითვლებოდა საფრანგეთში. იმის სამინისტროს დაფუძნებას უმეტესი ნაწილი რესპუბლიკელებსა დიდის ამბით და იმედებით ელოდებოდნენ.

მაგრამ უმაღლესის უფლების მიღებისათანავე გამბეტამ საქმე რესპუბლიკელების სურვილისა და შეხედულობის წინაალმდეგ წაიყვანა.

ზოგიერთები პოლიტიკურ გამჭრიახობად უთვლიდენ გამბეტას, მონარხიელების ბანაკიდამ რომ კაცებს იწვევდა სხვა-და-სხვა უმაღლესს თანამდებობისათვის; „ზომიერ რესპუბლიკელებმა კი (არ ვამბობ რადიკალებზედ) სულ სხვა ნაირად შეხედეს და სხვა აზრი მიაწერეს ამ გვარ გამბეტტის ქცევას.

სხვაზედ რომ არ ვილაპარაკოთ, თავის უკანასკნელი პროექტით გამბეტტა შეეხო პალატის უფლებას და დამოუკიდებლობას. პალატასა და სამინისტროს შორის შეტაკება მოხდა და ეს უკანასკნელი დამარცხდა. შესდგა ახალი სამინისტრო — ფრეისინე და ლეონ-სესი. ვინ იცის დიდ ხანს გასწევს ახალი სამინისტრო და იმისა და პალატის თანხმობა თუ არა.

როგორც უნდა იყოს, შესამჩნევია ეს პარლამენტის მუდმივი ბრძოლა, სიცოცხლე, შეუწყნარებელი ლტოლვილება წინ თავისუფლებისაკენ.

გამბეტტის სამინისტროს მაგივრად, როგორც უკვე გეცოდინებათ, რასაკვირველია, დაინიშნა ფრეისინეს სამინისტრო. ახალ კაბინეტს შეადგენენ: ფინანსის მინისტრი ლეონ-სეი, რომელიც სენატის პრეზიდენტად იყო. სწავლა-განათლებას მინისტერი ჟულ ფერრი და სხვები.

მინისტრების რჩევების პრეზიდენტმა ფრეისინემ სამინისტროს პროგრამმაში გამოაცხადა სამხედრო და სამსაჯულო რეფორმების მოხდენის განზრახვა.

კონსტიტუციის რევიზიის შესახებ ფრეისინე შემდეგი აზრის არის: ეხლა ისეთს კრიტიკულ მდგომარეობაში ვართო, რომ რევიზიის მოხდენას შეუძლია განხეთქილება ჩამოაგდოს ჩვენ შორის ამის გამოისობით უმჯობესია, რომ შემდეგისთვის, უფრო მოხერხებულ დროისთვის გადავდოთ ამ საგნის განხილვაო.

ა. დიდია.

მნიშვნელობა სამღვთო გარეგან წესებისა ხალხის რწმენაში.

უდიდესნი ისტორიკოსები: დრეპერი, გიზო, ბოკლი, რენანი და სხ., სხვათა შორის, ამტკიცებენ, რომ ყოველს ერს, როგორიც უნდა იყოს ის, აქვს რწმენა, რჯული და თაყვანის საცემიო; რომ რწმენას ყოველი ერის ისტორიაში მიუძღვის დიდი ღვაწლი, მეტადრე ქრისტიანობას, რომელიც გამოიხატება ორს შესანიშნავ დესულებაში ანუ მცნებაში: 1) შეიყვარე უმაღლესი **ჭეშმარიტება**, უფალი ღმერთი შენი ყოვლითა გულითა შენითა და ყოვლითა სულითა შენათა და ყოვლითა გონებითა შენითა და 2) **შეიყვარე მოყვასი** (ყოველი ადამიანი) შენი, ვითარცა თავი თვისი (სახ. მათესი თავი 22 გვ. 34—40).

და რადგან ერთი და იგივე რჯული სხვა-და-სხვა ხალხებში სხვა-და-სხვა ნაირად აღიარება, ამიტომ, ამის მიხედვით, სხვა-და-სხვა ხალხებში ერთსა და იგივე სჯულს ერთგვარი ღვაწლი არ მიუძღვის...

ჩვენში მმართლ-მადიდებლობის ქრისტიანობა დამკვდრდა 319 წელს ქრისტეს შემდეგ, და 1563 წ. განმავლობაში ღრმა ფესვები გაიდგა ქართველთ სულიერ არსებაში; ქრისტიანობის მონად გამხდარი ქართველი არას ზოგავდა თავის სარწმუნოებისათვის: არც ქონებას მისთვის სამღვთო სახლების (ეკკლესიების) ასაგებად, არც თვის ძალას და სიცოცხლეს.

რჯულის დაცვა იმავე დროს იყო დაცვა სამშობლოს, რადგან სიკვდილი პირველისა მოასწავებდა სიკვდილს მეორისას.

ზევით მოვიხსენიეთ, რომ ყოველი ერი თავის რწმენას გამოხატავს თავისებურ გარეგან წესებში. მაგ. ქართველნი ეკკლესიებს აშენებდნენ მშვენიერს ადგილას, ხე-ტყიანს, ყვავილოვანს ვარაკებზე, გორცვებზე. შიგ ეკკლესიას ჰხატავდენ, ასე რომ ყოველი სახარების ისტორიანი თვალსაჩინოდ იყვნენ გამოხატულნი კედლებზე, სვეტებზე და თაღებზე ეკკლესიისა და კანკელზედაც.

მლოცველი, თუნდაც წიგნის უმეცარი ყოფილიყო, თავის თვალით ყოველ უქმ დღეს ჰხედავდა წმინდანს და მას სთხოვდა შეწევნას და შევლას. ეკკლესიაში წირვა იყო მშვიდობიანი, დამჯდარი ხასიათისა და გალობა ისეთი, რომ შფოთიან და აღელვებულ კაცს თითქო ცივ წყალს ასხამდა, ბოროტ განზრახვებს უქარვებდა და მთელს მის არსებას იმონავებდა. მლოცველი გამოდიოდა ეკკლესიიდამ არა აღელვებული, ცოფიანი არამედ მშვიდი და სასოებით სავსე. თუ ყველა ამას დაემატებოდა აგრეთვე სიტყვა და ქადაგება მოძღვრისა, მაშინ ხომ სულ სხვა გახდებოდა კაცი.

ეხლა ვჩივით და შემოგვჩივიან— თუ რად დაცარიელდნენ ეკკლესიები, თუ რატომ დაჰკარგა ჩვენმა ხალხმა ზნეობა, თუ რად დაავიწყდა მას მაღალი მცნებანი ქრისტესი, ის მცნებანი, რომელნიც გმირულად დაიცვა ერმა ამ 1563 წლის განმავლობაში ურთვალავე ქრისტეს მტრებისგანო? და ყველანი ბრალს სდებენ მღვდლებს, ყველანი კენჭებს ჩვენკენ ისვრიანო!

რადა? განა მარტო სამღვდელოება არის ამაში დამნაშავე?

ჩვენ არ ვამბობთ, რომ სამღვდელოება დამნაშავე არ ყოფილიყოს და მის დაცემას ხალხის დაცემაც არ მოსდევდეს. ჩვენი მოძღვრების დაცემას აქვს ისტორიული მნიშვნელობა. სამღვდელოება დაეცა ისე, როგორც ჩვენებურ სასამართლოებში მართლმსაჯულება. ყოველი ჭეშმარიტების ქადაგებას უნდა სიტყვა, რომელსაც მოკლებულნი ვართ, როგორც მღვდლები, ისე სასამართლოები. სიტყვას გარდა ჩვენ არ გვეძლევა სათანადო სწავლა.

ვამბობ, მღვდლებს გარდა, არიან კიდევ მიზეზები, რომელთაც თბილი, მორწმუნე გული ქართველს გაუგრილეს და გაუყინეს. ეს გახლავთ აგრეთვე ეკკლესიების გადაშენება და

მხრით იყო 159000 კაცი ხოლო ბოლგარებისა 112000. ამ ომში ოსმალოს მხრით მოკვდა ოთხმოც დაცამეტი ათასი კაცი; როგორც მომჩილი, ეგრეთვე სულთან ორკანი იქმნენ მოკლულნი. თუმცა ოსმალები დამარცხდნენ, მაგრამ მაინც არ მოეშვნენ ბოლგარებს, დასვეს სულთნად ორკანის სიყრმის შვილი—სულეიმანი, რომელმანც დაიპყრო მთლად ფრაკია, მაკედონიის ნაწილი და ადრიანოპოლი გახადა თავის სატახტო ქალაქად. იოანე შიშმანმა კვალად შეჰყარა ჯარი-ოც-და-ოთხი-ათასი სული, მაგრამ მაინც დამარცხებული დარჩა. რა რომ გაუჭირდა საქმე, დაუწყო თავის ძმას გიორგის ხვეწნა, რათა მიჰშველებიყო ჯარით; გიორგიმ უარი გამოუცხადა ჯაბრით.

ათის წლის შემდეგ ამ აღნიშნულის ომისა. ბიტოლის და ორხიდის მთავარმა—ვუკაშმა, შვილმა ამისმარკომ და სერბიის მთავარმა კოსტანტინემ შეჰყარეს ჯარი; ამათ იოანე შიშმანმაც მიაშველა თავის ჯარი. ამათი განზრახვა იყო განედევნათ ოსმალები ბალკანის ნახევარ-კუნძულიდამ მაგრამ უკულმა დაუტრიალდათ ბედის ჩარხი:-ოსმალებმა სძლიეს, მრავალნი დახოცეს და მრავალნიც ტყვედ წაასხეს, სხვათა შორის, მირკო და კოსტანტინე;

შემდეგ სულეიმანისა ოსმალებმა დასვეს სულთნად—მურად მეორე, რომელიც გამეფებისათანავე წავიდა ანატოლიაში, შეჰყარა ჯარი და გაილაშქრა სალუნისკენ (მაკედონიის ქალაქი). ამ დროს სალუნის მცხოვრებლებმა მოიპატიჟეს ვენეციელები მოსარჩლედ, მაგრამ როდესაც სულთან მურადი მიადგა ჯარით სალუნს ვენეციელები გაიქცნენ და დარჩნენ პირის-პირ მეომრად მხოლოდ სალუნელები. ამათ გმირულად გაიმაგრეს ქალაქი და იქნება ვაგლახათაც ვერ აეღოთ ოსმალებს, თუ ერთი ბერის გამცემობით არა. ამ ბერმა დასწერა ქაღალდზე თუ რომელის გზით და ლონის-ძიებით შეეძლოთ თათრებს ქალაქის აღება,—მოაბა ეს ქაღალდი ისარს და გასტყორცნა სულთანის კარავისკენ. ოსმალებმა გახსნეს, და წაიკითხეს. ოსმალებმა გადაუგდეს წყალი, შევიდნენ და დაიპყრეს ქალაქი.

1390-ს წელშივე სულთან მურადს მოუხდა დიდი ომი კოლოვის ველზედ, სადაც იქმნენ მოკლულნი თვით მურადი, სერბიის მთავარი—ლაზარე და—მომჩილ მილოში. მურადის სიკვდილის შემდეგ ბაიზიდმა თავისის დედის მარიამის შუამავლობით გაანთავისუფლა საპყრობილიდამ — მარკო და კოსტანტინე. მარკო დააყენეს—ბიტოლის ფაშად, ხოლო კოსტანტინე სერრესის ხეობის თავადად. ბაიზიდმა ცოტა ხნის შემდეგ გამოუცხადა ომი იოანე შიშმანსა და წაართვა სატახტო ქალაქი ტირნოვი, შემდეგ ცხრა თვის ბრძოლისა და სისხლის ღვრისა ბერძნების წინამძღოლობით.

გ. გრემელი,

ქ. სოფია (ბოლგარია.).

(გაგრძელება.)

უმთავრესად ეკკლესიურ გალობის ხასიათის გამოცვლა.

რომ ნამდვილს ქართულს ეკკლესიურს გალობას აქვს დიდი გავლენა კაცის სულიერ არსებაზე და მის რელიგიურად მამართვაში—ეს თვალსაჩინოდ გამოჩნდა სიონის ეკკლესიაში 14 იანვარს—ნინოობას. თუმცა დიდი ზამთრის სუსხი და უჩვეულებრივო ქარიშხილი იყო, მაგრამ ხალხით მაინც გაივსო ეკკლესია და დიდის სასოებით მოისმინა წირვა. და მე დავრწმუნდი, რომ ყველა მლოცველნი კმაყოფილნი გამოვიდნენ იმ ტაძრიდამ, თუმცა გალობაც და წირვაც ბევრით ჩამოუვარდებოდა ნამდვილს ქართულს წირვა-გალობას.

აი რა გვარი გავლენა აქვს ხალხზე თავის ენაზედ ღვთის თაყვანის-ცემასა, წირვა-ლოცვასა.

ულუმბელი.

განცხადებანი

გამოვიდა და დაურიგდა ხელის მომწერლებს „ივერიის“

პირველი (იანვრის) წიგნი 1882 წ.

შინაარსი: ა) კონა, მოთხრობა ეგ. გაბაშვილისა. ბ) „მომილოცნია ახალი წელი“, ლექსი ი. ბაქრაძისა. გ) ხალხური ლეგენდა, ლექსი თ. რ. ერისთავისა, დ) დავით გურამიშვილი და მისი დრო (წერილი მესამე) თ. ჟორდანიასი. ე) „რაზე მიწურები ჟეენო?“ ლექსი თ. რ. ერისთვისა. ვ) რა უნდა იყოს სეტყვის მიზეზი? ნ. ნათაძისა. ზ) უსლარი და იმისი თხზულება:“ უძველესნი თქმულებანი კავკასიაზე (წერილი პირველი). ჱ) ობოლი, ლექსი გ. ო-სა. თ) საპოლიტიკო მიმოხილვა. ი) თეატრი (არსენა.—სამშობლო.) ია) სხვა-და-სხვა ამბავი. იბ) შინაური მიმოხილვა.

ხელის-მოწერა ჟურნალზედ მიიღება მხოლოდ მთელის წლით. ფასი მთელის წლისა (თორმეტი წიგნი) შვიდი მანათი. ვისაც ერთად შემოტანა გაუძნელდება, შეუძლიან ჯერ ოთხი მანათი შემოიტანოს და დანარჩენი სამი მანათი პირველს მაისამდე.

ხელის-მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, მთაწმინდაში, ხევის ქუჩაზედ (Овражская ул.) ფარესაშვილის სახლებში, № 9, აგრეთვე შავერდოვის საგენტოში, ალექსანდროვის ბაღთან და კავკასიის საგენტოში, ბულვარზედ.

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთ წერილი და ფული შემდეგის ადრესით უნდა გამოგზავნონ:

Въ Тифлисъ. Въ редакцію журнала „Иверія“.

(3—2) რედაქტორები { ილ. ჭავჭავაძე და ი. მაჩაბელი.

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

ივავ-არაკნი

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიდგან გადმოქცეული თ. რ. ერისთვისა.

ი. მურადოვის

წიგნის მაღაზიაში

ქუთაისში

მუდამ არის დამზადებული საკმაოდ ყოველ გვარი სასწავლო წიგნები, რომელნიც კი მოეთხოვებად სავაჟო და საქალებო გიმნაზიებში, სახალხო და სამოქალაქო სკოლებში მოსწავლეთა. არის აგრეთვე დიდ-ძალი სამოსწავლო და სკოლაში სახმარო ნივთები და მოთხოვნილებისა დაგვარად დახაზული რვეულები, ასი—5 მანეთი., მუზიკალური ნოტები, სხვა და სხვა საწერი ნივთები და მასალეები უფრო იაფ ფასად, ვიდრე სხვაგან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა მოთხოვნილებას მაღაზია დაუყოვნებლივ აასრულებს და გამოგზავნის პირველივე წამომავალი ფოშტითა.

(50—50)

დაიბეჭდა და ისყიდება ბრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

ისყიდება

25% ნაკლებ მინამ სხვა ადაგას ჩაი, კაკაო, შეკოლადი, ბისკვიტი, მურაბა, ბრინჯი, ჭურჭლები, სტაქნები, ბაკლები, თეფშები, ჩაინიკები, სუდოკები, ფოდნოსები, პირის-საბანი, კლიტეები, სამურველი, ტანისამოსის საკიდი, კოვზები, დანები, კალმები, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, კარანდაშები, თოფები, რევოლვერები, კრაგები, პლაშჩები, ვანები, ქამრები, საყელურები, კლიონკა, უნაგირები, ლაგმები, უთოები, ტასტები, პირისახოცი, ცხვირის-სახოცი, ჩულქები, ტუალეტის საპონი, დუხები, შარბათი, ციტმატმაგნეზია, ქინას ღვინო, პორტ-ვეინი, ხერესი, კონიაკი და ათასი სხვ. რამეები,—**ინგლისის მაღაზიაში.** იქვე ჩაი ვაჭართათვის ნარდათ: ფუთობით 40, 46, 52 და 58 მან. და გირვანქობით: 1 მ., 1 მ. 10 კ., 1 მ. 20 კ., 1 მ. 40 კ., 1 მ. 60 კ., 1 მ. 80., და უპირველი ხარისხისა 2 მ.—წონა უქაღალდოთ.

თოფები 20—60 მან., ჩოკ-ბორ (*choke bore*) *Ceorge Dau*-ს ფაბრიკიდამ—120 მან. რევოლვერები 4—34 მან. და ბულდოგისა 11—20 მ. ქალის უნაგირები 65 მან-დამ.; შეფილდის დანები ჩანგლებით 3 მან. 50 კაპ-დამ დუჟ., ალბომები ნახევარ ფასად, ფილტრები და სხვ.

ყველაზედ უმრავლესი ამორჩევა თოფებისა და რევოლვერებისა თფილისში.

(100—80)

ისყიდება

15,000 თეფში 1 ხარისხისა, თითო 15 კაპ.

12,000 ბროლის სტაქანი თითო 25 კაპ.

10,000 ბაკალი და სტაქანი თითო 10 კაპ.

10,000 ფოდნოსი და გასაღები თითო 15 კაპ.

10,000 ნევსი, 8 კ. 40-მდინ ასი.

10,000 პენალი თავის პრიბორით თითო 5 კაპ.

5,000 ბოთლი პორტვეინისა და ხერესის თითო 1 მან.

2,000 არშინი კლიონკა 60 კაპ. 2 მან. არშინი.

2,000 დიუჟინი ყარანდაში და ყალმის ხელი 8 კ. 50 კაპ. დიუჟ.

2,000 გირვანქა ინდოეთის ბრინჯი 7, 8, 10 კაპ. გირვ.

1,000 გირვ. თვალთ-მაქცი ლეპიოშკა 50 კაპ. გირვ.

600 ინგლისის რევოლვერი 4 მან. 34-მდი.

300 ინგლისის თოფი თითო 20—100 მან.

დრაპი, მაუდი, ტრიკო, ალბომები, საზამთრო პალტოები, ქუდები, შარვლები და ტანისამოსი ნახევარ ფასად. **ინგლისის მაღაზიაში.**

(40—33)

ინგლისის მაღაზიაში

თმისამ-ძყვანი მაკ-ას-ტიკი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. ჩოტკები თავის ტკავილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ

(100—92)

ლონდონის მაღაზია კომერციულს ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაიგასასყიდლათ პირველი მოკრევილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შხო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემჩივინი ზეთისა) და სხვ. საგენტო მაკინტოშის მოსახურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატჯერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდებისა ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჭავანას სიგარები.

(100—76)

დასყიდვა აღდგომამდის

ინგლისურ მაღაზიაში.

ქუდები 1 მან., ფუფაიკები 2 მ. 50. დამ შარვლები 4 მან. პიჯაკები 8 მან., მთელი კოსტიუმი 13—19 მან-მდი; დრაპი, მაუდი, ტრიკო, ჩოთქები და ალბომები ნახევარ ფასად; ხიზალადა 1 ხარისხისა — 70 კ. და ჟილკა—1მ. 20 კ. გირვ. ტანისამოსის ჩოთქები 30 კაპ. კრესლოები — ტასტები 10, 14 და 18 მან.—კოლმანის კრახმალი 17 კაპ. გირვ., ლეპიოშკები 2 კ., თეთრეულის გამოსარეცხი პარაშოკი — 5 კაპ. პაკეთი. ამ დღეებში მივიღებთ ყველს—ჩესტერ 60 კ. გირვანქა. **ახალ - ახალი.** წმინდა და ვერცხლის სანთლები—35 და 42 კ. ინგლის. გირვ., ინგლის. და ფრანცუზ. რეზინის ტასტები 10% იაფად ვინემ სხვაგან, ე. ი. საბავშვო 4 მან. და სადიდო 14 მანეთიდამ.

(15—2)

აუქციონი

20-ს და 27 თებერვალს

კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში

დანიშნულია აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლის და მვირფას ნივთებისა.

(3—1)

ბრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნისიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემა:

წითელი ფარანი, ფასი 15 კ.

ხატაური — — — 10 კ.

ტაქსის

საკვებავ ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 თებერვლიდამ 16 თებერვლამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	3½
მეორის „	—1 გირ.	3 კ.
მესამის „	—1 გირ.	—
იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	6 კ.
მეორის „	—1 გირ.	4 კ.
ჯვარის-მამის პური:		
პირველ ხარის. ლავაში	1 გირ.	7 კ.
მეორის „ „	—1 გირ.	5 კ.
მესამის „ „	—1 გირ.	4½
ძროხის ხორცი:		
პირველის ხარისხის	—1 გირ.	11 კ.
მეორის „	—1 გირ.	9 კ.
სუკი — —	—1 გირ.	16 კ.
ცხვრის ხორცი	1 გირ.	12 კ.
ღორის ხორცი:		
პირველი ხარისხის	—1 გირ.	12 კ.
მეორის „	—1 გირ.	11 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 10 *Февраля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი